



თარიღი	თებერვალი 2021
თავი	0
გვერდი	1/13
ცვლილება	0

„დამტკიცებულია“


საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, ტ.მ.დ., პროფესორი

ს. ციფნაძე
05/02/2021
დადგენილება 05/28




საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

ძირითადი ასლი

	სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია	თარიღი	თებერვალი 2021
		თავი	1
	სარჩევი	გვერდი	2/13
		ცვლილება	0

1 სარჩევი

1	სარჩევი.....	2
i.	ცვლილებები.....	3
ii.	ცვლილებების ისტორია.....	4
iii.	მოქმედი გვერდების სია	5
2	დოკუმენტაციის კონტროლი.....	6
2.1	დოკუმენტების დასაგზავნი სია.....	6
3	შესავალი.....	7
4	სტრატეგიული დაგეგმვის მოდელის შერჩევა.....	7
5	სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია	7
5.1	ფაზა 1. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნა.....	8
5.2	ფაზა 2. მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბება	8
5.3	ფაზა 3. SWOT ანალიზი.....	8
5.4	ფაზა 4. სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა	9
5.5	ფაზა 5. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება	9
5.6	ფაზა 6. დაკავშირებული გეგმების შემუშავება	9
5.7	ფაზა 7. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების იმპლემენტაცია	9
5.8	ფაზა 8. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შეფასება.....	9
6	უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები	10
7	სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის გადახედვა და ცვლილება	10
8	დანართი 1.....	11
8.1	სტრატეგიული დაგეგმვის მოდელები	11
8.1.1	მოდელი 1. კონვენციური/შეთანხმებითი სტრატეგიული დაგეგმვა.....	11
8.1.2	მოდელი 2. საკითხებზე დაფუძნებული სტრატეგიული დაგეგმვა.....	11
8.1.3	მოდელი 3. ორგანული სტრატეგიული დაგეგმვა (organic strategic planning).....	11
8.1.4	მოდელი 4. სტრატეგიული დაგეგმვა რეალურ დროში (Real-Time Strategic Planning)	12
8.1.5	მოდელი 5. სტრატეგიული დაგეგმვის მაკავშირებელი მოდელი (Alignment Model of Strategic Planning)	12
8.1.6	მოდელი 6. შთაბეჭდილების მომხდენი მოდელი (Inspirational model of strategic planning).....	13


	სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია	თარიღი	თებერვალი 2021
		თავი	i
	ცვლილებები	გვერდი	3/13
		ცვლილება	0

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი


	სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია	თარიღი	თებერვალი 2021
		თავი	2
	დოკუმენტაციის კონტროლი	გვერდი	6/13
		ცვლილება	0

2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

	სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია	თარიღი	თებერვალი 2021
		თავი	3
	შესავალი	გვერდი	7/13
		ცვლილება	0

3 შესავალი


1. მეთოდოლოგიის მიზანს წარმოადგენს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტური წარმართვის ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავებას, მათი შესრულების მუდმივ შეფასებას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ორგანიზაციულ მართვას.
2. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტურობას განაპირობებს აღნიშნული მეთოდოლოგია, რომლის შემადგენელი კომპონენტები აღწერილია ქვემოთ.

4 სტრატეგიული დაგეგმვის მოდელის შერჩევა

1. აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება სტრატეგიული დაგეგმვის საყოველთაოდ აღიარებული მოდელების გააზრებას და ოპტიმალური მოდელის შერჩევის პრინციპს.
2. სტრატეგიული დაგეგმვის სხვადასხვა მოდელი არსებობს, მათ შორის გეგმის შემუშავების „ზემოდან-ქვემოთ“ (top-down) მიდგომით ან აუტოკრატიული, ასევე ინკლუზიური ან პრობლემაზე ორიენტირებული მიდგომა და ა.შ. არცერთი მათგანი არ წარმოადგენს იდეალურ მოდელს. თავსებადი მოდელის ან ჰიბრიდული მოდელის შერჩევა ხდება დაწესებულების რესურსების, ორგანიზაციული კულტურისა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით.
3. სტრატეგიული დაგეგმვის მოდელის შერჩევა ხდება სტრატეგიული დაგეგმვის საყოველთაოდ ცნობილი მოდელებიდან (დეტალურად იხ. დანართი 1), როგორც არის:
 - კონვენციური/შეთანხმებითი სტრატეგიული დაგეგმვა
 - საკითხებზე დაფუძნებული სტრატეგიული დაგეგმვა
 - ორგანული სტრატეგიული დაგეგმვა (Organic Strategic Planning)
 - სტრატეგიული დაგეგმვა რეალურ დროში (Real-Time Strategic Planning)
 - სტრატეგიული დაგეგმვის მაკავშირებელი მოდელი (Alignment Model of Strategic Planning)
 - შთაბეჭდილების მომხდენი მოდელი (Inspirational model of strategic planning)
4. დაგეგმვის ოპტიმალური მოდელის შერჩევის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სტრატეგიული დაგეგმვის თითოეული ციკლის წინ, არსებული რესურსებისა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით.


5 სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

1. საავიაციო უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული რესურსების, ცვალებადი გარე ფაქტორების და შიდა ორგანიზაციული კულტურის შეფასების შედეგად, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი:
 - უნივერსიტეტის რესურსები საშუალებას იძლევა მცირე მასშტაბის გუნდის მიერ მოხდეს გარე ფაქტორების შესწავლა, დამუშავდეს სტატისტიკური მონაცემები, შეფასდეს რისკები და გაკეთდეს პრობლემაზე დაფუძნებული ანალიზი;
 - უნივერსიტეტს გააჩნია სტრატეგიული დაგეგმვისთვის საჭირო კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსი;

	სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია	თარიღი	თებერვალი 2021
		თავი	3
	სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია	გვერდი	8/13
		ცვლილება	0

- უნივერსიტეტის მენეჯმენტი ინფორმირებულია და მომზადებულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების დასაწყებად.

2. არსებული ფაქტორების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მე-4 და მე-5 მოდელების შერწყმა და სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში ჰიბრიდული მოდელის გამოყენება, რაც გულისხმობს სტრატეგიული დაგეგმვისას შემდეგი მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობას:



სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი

5.1 ფაზა 1. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნა


- სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფს (შემდგომში ჯგუფი) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი, რომლის შემადგენლობასაც, სტრატეგიული დაგეგმვის მიზნებიდან გამომდინარე მმართველი რგოლის წარმომადგენლების გარდა ემატებიან სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, აკადემიური პერსონალი, ფინანსურ და ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელი პირები. (1)

5.2 ფაზა 2. მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბება

- იდეების გენერირების მიზნით, სამიზნე ჯგუფების გამოყოფა და მათი გამოკითხვა (2)
- შედეგების გაცნობა ჯგუფისთვის (3)
- ხედვის ჩამოყალიბება, რომლის საფუძველზეც მოხდება არსებული მისიის გადახედვა და ღირებულებების შესახებ განაცხადის ჩამოყალიბება (4)

5.3 ფაზა 3. SWOT ანალიზი

- ძირითადი სამუშაო ჯგუფის მიერ უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასება (5)

	სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია	თარიღი	თებერვალი 2021
		თავი	3
	სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია	გვერდი	9/13
		ცვლილება	0

- ძირითადი სამუშაო ჯგუფის მიერ გარემოს და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი(6)
- შედეგების წარდგენა ჯგუფისთვის და SWOT ანალიზი (7)

5.4 ფაზა 4. სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა

- საბჭოს მიერ გრძელვადიანი სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა. (სტრატეგიული განვითარების გეგმა უნდა იყოს 7 წელზე გათვლილი და შეიცავდეს გრძელვადიან ხედვას უნივერსიტეტის როლისა და ადგილის შესახებ) (8)

5.5 ფაზა 5. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება

- ძირითადი სამუშაო ჯგუფის მიერ, სტრატეგიული პრიორიტეტების საფუძველზე, სტრატეგიული მიზნების, ამოცანებისა და საქმიანობების ჩამოყალიბება, ასევე შესრულების ინდიკატორების განსაზღვრა (KPI) (9)
- სტრატეგიული განვითარების გეგმის სამუშაო ვერსიის წარდგენა ჯგუფისთვის (10)
- სამიზნე ჯგუფების სეგმენტაცია და მათთვის სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსიის გაცნობა და უკუკავშირის მიღება (11)
- სამიზნე ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაციის გაზიარება ჯგუფისთვის (12)
- სტრატეგიული განვითარების გეგმის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება (13)

5.6 ფაზა 6. დაკავშირებული გეგმების შემუშავება


- სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავება (14)
- ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესახებ (15)
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმების შემუშავება (16)

5.7 ფაზა 7. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების იმპლემენტაცია

- სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელება (17)

5.8 ფაზა 8. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შეფასება

- შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, წელიწადში ერთხელ სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა და ცვლილებების შეტანა საჭიროებისამებრ (18)
- უნივერსიტეტის წევრთათვის ინფორმაციის გაზიარება (29)


	სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია	თარიღი	თებერვალი 2021
		თავი	3
	უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები	გვერდი	10/13
		ცვლილება	0

6 უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები

- ვინაიდან სტრატეგიული დაგეგმვის მიზანია ერთმანეთთან დააკავშიროს მისია, ხედვა, მიზნები და რესურსები, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის ყველა წევრს გააჩნდეს ერთიანი ხედვა, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს უნივერსიტეტი.
- მისია** წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის შექმნის საფუძველს. მისია გასაგებ და მარტივ ენაზე აღწერს, თუ რატომ არსებობს საავიაციო უნივერსიტეტი და რა მიზანს ემსახურება მისი საქმიანობა.
- მისია არ უნდა იყოს ვრცელი. ის ერთგვარი სამოტივაციო განაცხადია, რისი მიღწევა აქვს უნივერსიტეტს განზრახული და რა არის მისი საქმიანობის მოსალოდნელი შედეგი.
- ხედვა** არის საბოლოო დანიშნულების ადგილი, რომელსაც უნივერსიტეტმა უნდა მიაღწიოს სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლის შემდეგ.
- ხედვა უნდა იყოს მამოტივირებელი და მიღწევადი. ის სტრატეგიული გეგმის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია და განსაზღვრავს უნივერსიტეტის სტრატეგიულ პოზიციას/ადგილს მომავალში. როგორც წესი, სტრატეგიული ხედვა მომდინარეობს უნივერსიტეტის რექტორისაგან.
- მისია და ხედვა უნივერსიტეტის აღქმის ორი უკიდურესი წერტილია, რომლის საფუძველზეც იქმნება სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- ღირებულებები** აღწერს, რისთვის არსებობს უნივერსიტეტი და რა გზით აპირებს საქმიანობის წარმართვას. განაცხადში მკაფიო აქცენტები კეთდება იმ ღირებულებებზე, რომლებსაც ემსახურება უნივერსიტეტის თითოეული წევრი თავის საქმიანობაში.

7 სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის გადახედვა და ცვლილება

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტრატეგიული განვითარების გეგმის ამოქმედებიდან 5 წლის შემდეგ, ვალდებულია განახორციელოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის ეფექტურობის შეფასება და ანგარიში წარუდგინოს მმართველ საბჭოს, რომელიც შეფასების შედეგებს ითვალისწინებს სტრატეგიული დაგეგმვის მომდევნო ეტაპისთვის.

	სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია	თარიღი	თებერვალი 2021
		თავი	3
	დანართი 1	გვერდი	11/13
		ცვლილება	0

8 დანართი 1

8.1 სტრატეგიული დაგეგმვის მოდელები

8.1.1 მოდელი 1. კონვენციური/შეთანხმებითი სტრატეგიული დაგეგმვა

1. ყველაზე გავრცელებული მოდელია, თუმცა ყველა ორგანიზაციისთვის შესაფერისი არ არის. იდეალურია იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც აქვთ საკმარისი რესურსები, რომ ჩამოაყალიბონ და განახორციელონ ამბიციური ხედვა და მიზნები. გარე ფაქტორები/გარემო შედარებით სტაბილურია, ერთობლივად ბევრ საკითხებზე არ ხდება აქცენტების გაკეთება. მოდელი მოიცავს შემდეგ ფაზებს:

- 1.1. მისიის, ხედვის და ღირებულებების ჩამოყალიბება;
- 1.2. გარე და შიდა ორგანიზაციული ფაქტორების გადახედვა და ანალიზი;
- 1.3. მრავალწლიანი სტრატეგიული მიზნების არჩევა;
- 1.4. სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- 1.5. დაკავშირებული გეგმების განვითარება, როგორც არის კადრების, ინფრასტრუქტურის, მარკეტინგის და ფინანსური გეგმები;
- 1.6. აქტივობების განაწილება სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს შორის.

8.1.2 მოდელი 2. საკითხებზე დაფუძნებული სტრატეგიული დაგეგმვა

1. ეს მოდელი კარგად მუშაობს იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ ლიმიტირებული რესურსები, გადასაჭრელი აქვთ მრავალი მიმდინარე და ძირითადი საკითხი და ამბიციური მიზნების მისაღწევად მცირეა მათი შესაძლებლობები. ეს მოდელი მოიცავს შემდეგ ფაზებს:


- 1.1. 5-7 საკითხის იდენტიფიცირება, რომელიც ორგანიზაციას უდგას დღის წესრიგში;
- 1.2. სამოქმედო გეგმის შეთავაზება აღნიშნულ საკითხებზე მომდევნო 1 წლის განმავლობაში;
- 1.3. ამ ინფორმაციის ასახვა სტრატეგიულ გეგმაში.

8.1.3 მოდელი 3. ორგანული სტრატეგიული დაგეგმვა (organic strategic planning)

1. კონვენციური მოდელი ზოგიერთ შემთხვევაში მიჩნეულია როგორც ზედმეტად სწორხაზოვანი და კონფიგურირებული მოდელი. ეს მიდგომა უფრო გამართლებულია სტატიკური და პროგნოზირებადი გარემოსა და საქმიანობების გათვალისწინებით. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ორგანიზაციები არიან ძლიერი და დინამიკური სისტემები, რომლებიც ყოველთვის იცვლებიან და კონვენციური დაგეგმვიდან შექმნილი გეგმა უცებ მალე შეიძლება აღმოჩნდეს მოძველებული.

2. ორგანული მოდელი დაფუძნებულია იდეაზე, რომ გრძელვადიანი ხედვა მიღწეულია ერთად მუშაობის შემთხვევაში, ამ ხედვის გათვალისწინებით, თუმცა გუნდის წევრებს უფრო მეტი თავისუფლება აქვთ ამ ხედვამდე მიღწევისთვის თავიანთ საქმიანობაში. ეს მოდელი მოიცავს შემდეგ ფაზებს:

- 2.1. ორგანიზაციის თანამშრომელთა მაღალი ჩართულობით გრძელვადიანი ხედვის და ღირებულებების ჩამოყალიბება;
- 2.2. თითოეული ადამიანი ტოვებს ამ ხედვას, მინიმუმ ერთი რეალისტური აქტივობის არჩევით, რომელსაც ის განახორციელებს ხედვის მიღწევისთვის, სანამ ჯგუფი შეხვდება განმეორებით, მაგალითად 1 ან 2 თვეში;

	სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია	თარიღი	თებერვალი 2021
		თავი	3
	დანართი 1	გვერდი	12/13
		ცვლილება	0

- 2.3. ჯგუფის წევრები ხვდებიან რეგულარულად რომ ანგარიშები გაუზიარონ ერთმანეთს გადადგმული ნაბიჯებისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ და რაც ამ პერიოდში ისწავლეს. ხედვა შეიძლება დაკორექტირდეს და დაზუსტდეს ამ პერიოდში;
- 2.4. ხანდახან, შესრულებული და დაგეგმილი აქტივობების ჩამონათვალი შედის სტრატეგიულ გეგმაში.

8.1.4 მოდელი 4. სტრატეგიული დაგეგმვა რეალურ დროში (Real-Time Strategic Planning)

1. ეს მოდელი განკუთვნილია ადამიანთა იმ ჯგუფებისთვის, რომლებსაც სჯერათ რომ ორგანიზაციები იცვლებიან და გრძელვადიანი სტატისტიკური გეგმები არარელევანტურია. ამ კატეგორიაში მყოფი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ დაგეგმვა უნდა განხორციელდეს რეალურ დროში. ეს მოდელი მორგებულია იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც გარე ფაქტორები და გარემო ხშირად ეცვლება. მოდელი მოიცავს შემდეგ ფაზებს:


- 1.1. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება;
- 1.2. მკვლევარების შერჩევა, რომლებიც შეისწავლიან გარემოს ორგანიზაციის გარეთ და როგორც შედეგი, გააკეთებენ ანალიზს თუ რა შესაძლებლობებისა და რისკების წინაშე დგას ორგანიზაცია;
- 1.3. აღნიშნული ჩამონათვალის წარდგენა მმართველი რგოლისთვის სტრატეგიული აზროვნებისა და განხილვებისთვის;
- 1.4. მკვლევარების შერჩევა ორგანიზაციის შიდა საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად, და შედეგად ორგანიზაციის მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ წარდგენა;
- 1.5. მმართველი რგოლისთვის ამ ჩამონათვალის წარდგენა განხილვებისთვის და SWOT ანალიზის გაკეთება;

8.1.5 მოდელი 5. სტრატეგიული დაგეგმვის მაკავშირებელი მოდელი (Alignment Model of Strategic Planning)

1. ამ მოდელის მთავარი მიზანი არის ძლიერი დამაკავშირებლობის უზრუნველყოფა ორგანიზაციის შიდა ოპერაციებსა და საერთო (სტრატეგიულ) მიზნებს შორის. მოდელი მოიცავს შემდეგ ფაზებს:

- 1.1. საერთო მიზნის შემუშავება დამაკავშირებლობისთვის;
- 1.2. გაანალიზება - თუ რომელი შიდა საოპერაციო აქტივობებია პირდაპირ დაკავშირებული ამ მიზნის მიღწევისთვის და რომელი - არა;
- 1.3. საერთო მიზნის დასახვა რომ უფრო ეფექტურად მივაბათ შესასრულებელი აქტივობების მიზნებს, მიზნის მიღწევის მეთოდები შეიძლება მოიცავდეს ორგანიზაციის საქმიანობის მენეჯმენტის მოდელებს, მაგალითად - ბიზნეს-პროცესების რეინჟინირების ან ხარისხის მენეჯმენტის მოდელებს, როგორც არის TQM ან ISO მოდელები;
- 1.4. ინფორმაციის სტრატეგიულ გეგმაში ასახვა.

2. საკითხებზე-ორიენტირებული დაგეგმვის მსგავსად, ბევრმა ადამიანმა შეიძლება ამტკიცოს, რომ ეს მოდელი წარმოადგენს რეალურ შიდა განვითარების მოდელს, ვიდრე სტრატეგიულ დაგეგმვას. ზოგიერთმა შეიძლება ამტკიცოს, რომ მოდელი ძალიან სტრატეგიულია, რადგან ორგანიზაციას პოზიციონირების შესაძლებლობას აძლევს უფრო წარმატებული დაგეგმვისთვის.

	სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია	თარიღი	თებერვალი 2021
		თავი	3
	დანართი 1	გვერდი	13/13
		ცვლილება	0

8.1.6 მოდელი 6. შთაბეჭდილების მომხდენი მოდელი (Inspirational model of strategic planning)

1. ეს მოდელი ხანდახან გამოიყენება იმ დროს, როდესაც ძალიან ცოტა დროა დაგეგმვისთვის და სტრატეგიული გეგმის შემუშავება არის აუცილებელი. მოდელი მოიცავს შემდეგ ფაზებს:
 - 1.1. მმართველი საბჭოს წევრებისა და თანამშრომელთა ძირითადი გუნდის შეკრება დაგეგმვისთვის;
 - 1.2. შთაბეჭდავი ხედვის ფანტაზირება - მისიის ფორმულირების მოდიფიცირება, ძლიერი და „შთაბეჭდავი“ სიტყვების გამოყენებით;
 - 1.3. ბრენსტორმინგი ამბიციურ, შორსმომავალ მიზნებზე, რომელიც ეფექტურად იმუშავებს მომხმარებელთა ფსიქოლოგიაზე;
 - 1.4. ხედვისა და მიზნების ასახვა სტრატეგიულ გეგმაში.
2. აღნიშნული მოდელის გამოყენება გარკვეულ რისკებს უკავშირდება. საბოლოო ჯამში შეიძლება შექმნას გეგმა, რომელიც არარეალურია და სტრატეგიული გავლენა ვერ მოახდინოს ორგანიზაციის საქმიანობაზე.